სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა

(პროგრამული კოდი - 06 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი, მისამართი:

სსიპ კულტურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო

მისამართი: ქ.თბილისი, უზნაძის 68

ელ.ფოსტა: info@csya.ge

ვებ.გვერდი: csya.ge

საკონტაქტო პირი: სააგენტოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოს
უფროსი სპეციალისტი

შოთა გუტიკაშვილი - 551 55 62 72

1. **პროგრამა "სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა"**

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების ხელშეწყობას, სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების/გუნდების ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად დაფინანსება/თანადაფინანსებას, ახალგაზრდულიღონისძიებების-ჩატარება/ხელშეწყობას.

პროგრამით გათვალიწინებუილია ტურნირების, სხვადასხვა ახალგაზრული შეჯიბრებების, სპორტული და შემეცნებითი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობას. ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით პროგრამა ინტეგრირებულია როგორც საგანმანათლებლო, ასევე შემეცნებითი კომპონენეტებით. ითვალისწინებს ახალგაზრდების ინფორმირებას სხვადასხვა პრიორიტეტულ საკითხებზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მათი ჩართულობის გაზრდას აღნიშნულ პროცესებში.

პროგრამის მიზანია სპორტული და ახალგაზრული ღონისძიებების ჩატარება/ხელშწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული/გამართული სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი, ახალგაზრდული ღონისძიებები, ტურნირები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ხელშეწყობილი.

სამიზნე ჯგუფი - აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული გუნდები; სპორტის მუშაკები, სპორტულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ფედერაციები, სპორტული ორგანიზაციები; დაფინანსების მიმღებია - იურიდილი პირები (ააიპ, სსიპ, არასამთავრობო ორგანიზაციები, შპს...) საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციები, სპორტული ორგანიზაციები, სპორტული ასოციაციები, ოლიმპიური კომიტეტები, გუნდები, კლუბები, ახალგაზრდული ორგანიზაციები.

2.1. ქვეპროგრამა "სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა"

(ქვეპროგრამის კოდი 06 27 03 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული და ახალგაზრული ინიცირებული ღონისძიებების მხარდაჭერას; სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების/გუნდების, ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ღონისძიებების ხელშეწყობას ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის ხელშეწყობას. ამასთანავე, ტურნირების, ჩემპიონატების, სხვადასხვა სპორტულ, ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების, შეჯიბრებების, შემეცნებითი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების მხარდაჭერას.

ქვეპროგრამის მიზანია - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა პოპულარიზაცია; ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა შემეცნებით და პრიორიტეტულ პროცესებში; ჩატარებული სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი ღონისძიებები, ტურნირები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ხელშეწყობილი; ახალგაზრდული საქმეების განვითარება/ხელშეწყობა.

სამიზნე ჯგუფი : დაფინანსების მიმღებია იურიდილი პირები (ააიპ, სსიპ, არასამთავრობო ორგანიზაციები, შპს...); საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციები, სპორტული ორგანიზაციები, სპორტული ასოციაციები, ოლიმპიური კომიტეტები, გუნდები, კლუბები.